გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს ხ ა რ ი ს ხ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ე რ ო ვ ნ უ ლ ი ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე

## ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა
## საქართველოს უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
31/10/2019

ანგარიშის წარდგენის თარიღი
08/12/2019

თბილისი
2019

## ინფორმაცია უსდ-ს შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს უნივერსიტეტი |
| უსდ-ს საიდენტიფიკაციო კოდი | 205037137 |
| დაწესებულების ტიპი | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| პროგრამის დასახელება | ფილოლოგია |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფილოლოგიის დოქტორი, 0232 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მარ გუტიერეზ-კოლონ პლანა<br>უნივერსიტეტი როვირა ი ვირჯილი, ესპანეთი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მაკა ელბაქიძე<br>ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | თინათინ კიღურაძე, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა) | მაკა თეთრაძე, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

## აკრედიტაციის დასკვნის რეზიუმე

**ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

პროგრამა სტუდენტებს ამზადებს „თანამედროვე ფილოლოგიის“ სპეციალობის დარგში. ეს ამოცანები არის საჯარო და ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე, გამოხატავს კონკრეტული დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას და თანმიმდევრულია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან. ამ კონკრეტული პროგრამისთვის მოქმედებს წინაპირობა, რომ აპლიკანტი ენას ფლობდეს მინიმუმ B2 დონეზე, რაც გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკურად აგებული, სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კომპონენტების არჩევაც.

**აკრედიტაციის ვიზიტის მოკლე მიმოხილვა**

გასაუბრებები აკადემიურ პერსონალთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, დოქტორანტებთან, კურსდამთავრებულებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან;
დაწესებულების დათვალიერებისას (ბიბლიოთეკის, აუდიტორიების, ოფისების და ლაბორატორიის მონახულება) გამოვლინდა, რომ პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას და ლაბორატორიას, რომლებიც აღჭურვილია ენის სწავლებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კომპიუტერული პროგრამით, რომლის გამოყენებაც დოქტორანტს შეუძლია დამატებითი აქტივობებისთვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის რეზიუმე**

- სტანდარტი 1: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 2: ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- სტანდარტი 3: მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 4: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
- სტანდარტი 5: შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**რეკომენდაციები**

- პროგრამა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების ანგარიშს: კონკრეტულ პერიოდში (დაცვამდე 6 თვეზე ადრე მაინც) კვლევა უნდა წარედგინოს გარე შემფასებლებს, რათა ისინი დაეხმარონ სტუდენტებს თავიანთი უკუკავშირით. არსებობს დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროცედურას, მაგრამ იქ არ არის ასახული ვადების შესახებ ინფორმაცია ან სახელმძღვანელო ამის თაობაზე, რათა თავიდან აცილებული იქნას იმის შესაძლებლობა, რომ შეფასება მოხდეს ნაშრომის დაცვამდე ერთი თვით ადრე.
- სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ (არამხოლოდ ადგილობრივ

ჟურნალებში). ხელმძღვანელმა ძლიერად უნდა წაახალისოს სულ მცირე ერთი ნაშრომის გამოქვეყნება თეზისთან დაკავშირებულ თემაზე ასეთ ჟურნალებში. ეს არის საუკეთესო გზა რათა მოხდეს შინაარსის კონტროლი (ეს მიღებული პრაქტიკაა სადოქტორო პროგრამებისთვის).

- პროგრამას უნდა ჰქონდეს საჯარო პროტოკოლი ან გზამკვლევი, თუ როგორ უნდა დაიწეროს ნაშრომი (ოფიციალური სტრუქტურა, რა უნდა იყოს პირველ გვერდზე, უნივერსიტეტის ლოგო, გვერდების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიის მითითების ტიპი და ა.შ. ასევე შინაარსის გრაფა, რომელიც სტუდენტებს გზამკვლევად გამოადგებათ).
- ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილი უნდა შემოწმდეს კვლევის მეთოდოლოგიის ექსპერტების მიერ.
- ნაშრომის ზოგიერთი საკითხი უნდა იყოს დაკავშირებული შრომის ბაზრის საჭიროებებთან.
- შეამოწმეთ საგნების შინაარსი: ზოგიერთი შინაარსი არ უკავშირდება მათ კვლევებს, (არამედ ამზადებს მათ პედაგოგებად, მაგრამ ამ შემთხვევაში, საგანი სამაგისტრო პროგრამაში უნდა იყოს შეტანილი).
- უფრო მრავალფეროვან თემებს უნდა მოიცავდეთ (კვლევის იმავე სფეროში).
- საგნების ლექტორები უნდა მიჰყვნენ დოქტორანტებს ნაშრომის წერის პროცესში, ექსპერიმენტის შემუშავებაში, მონაცემთა ანალიზში და ა.შ. ამის გაკეთება შესაძლებელია იმ კომისიაში მონაწილეობით, სადაც ხდება ნაშრომის წარდგენა და კანდიდატისთვის, მიმოხილვის (ანგარიშის) დაწერით.
- სადოქტორო ნაშრომს ერთზე მეტი მკვლევარი უნდა ხელმძღვანელობდეს (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს, ხელმძღვანელს პლუს ტუტორი. მაგრამ ტუტორი უნდა იყოს ექსპერტი მკვლევარი).
- სტუდენტებმა მეტი ინფორმაცია უნდა მიიღონ იმის თაობაზე, თუ როგორ გამოაქვეყნონ სტატიები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რამდენადაც ისინი არ აქვეყნებენ ასეთ ჟურნალებში და შესაბამისად კვლევის ხარისხიც შეიძლება გარკვეულ ეჭვს ბადებდეს.
- დაცვის შესახებ საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს (ნაშრომის ჩაბარება, მისი საჯარო განხილვა, დაცვაზე დაშვება, დაცვის თარიღი და ა.შ.).
- ნაშრომის შექმნის პროცესში, იგი უნდა შეფასდეს დამოუკიდებელი ჯგუფის მიერ მინიმუმ 1 წლით ადრე და მიმდინარე ნაშრომის შესახებ ანგარიში გაეგზავნოს კანდიდატს, რათა მას ჰქონდეს დრო კვლევის რაღაც ნაწილის შესაცვლელად, საჭიროების შემთხვევაში.
- პროგრამა უნდა იყოს დაკავშირებული ადგილობრივ და საერთაშორისო კვლევით პროექტებთან ერთი ან რამდენიმე კვლევითი ჯგუფების ფარგლებში, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღონ და ისწავლონ რეალურ კვლევით გარემოში ყოფნის გამოცდილებიდან.

- სტუდენტებს უნდა ეცნობოთ იმ გზების შესახებ, რითაც შესაძლებელია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრირება, თუ როგორ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები რეცენზირებად კვლევით ჟურნალებში.

**რჩევები**

- რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდების შეცვლა, რათა იგი რეალურად ასახავდეს ნამდვილ ამოცანებს, რომელსაც იგი მოიცავს, ან სხვა გამოსავალი იქნება ახალი საკვლევი სფეროების გახსნა პროგრამაში, რომლებიც ტრადიციულად მოიაზრება ქოლგა ტერმინი „ფილოლოგიის" ქვეშ.
- სტუდენტებისთვის გამოქვეყნების პროცესში დასახმარებლად, 3 კრედიტიანი საგნის დამატება შეიძლება, თუ როგორ მოიძიონ ჟურნალები ინდექსირებულ მონაცემთა ბაზებში, როგორ დაწერონ სტატიები და აღწერონ თავიანთი კვლევა და ა.შ.
- არ არსებობს კავშირი ამ სადოქტორო პროგრამის შედეგებს, შეძენილ უნარებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნილ უნარებს შორის. რამდენადაც პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, მოამზადოს სტუდენტები შრომის ბაზრისთვის, სასურველია შინაარსის გადააზრება.
- რეცენზირებად ჟურნალებში ჩატარებული კვლევის ნაწილობრივი შედეგების პუბლიკაცია (Scopus, WoS, ErihPlus, და ა.შ.).
- სასურველია, თანახელმძღვანელებად მოიწვიოთ პროფესორები სხვა უნივერსიტეტებიდან სემინარების, ვორქშოპების ან კონფერენციების (უმჯობესია საერთაშორისო) ჩასატარებლად და გამოცდილების გასაზიარებლად.
- პროგრამას უნდა ჰქონდეს საჯარო დოკუმენტი (ან უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს წესი), რომელიც ადგენს იმას, თუ ვინ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი. ეს შერჩევა უნდა ეყრდნობოდეს მათ რეზიუმეებს (CV).

**საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

- სტუდენტებს ეძლევა გარკვეული თანხა კონფერენციები დასასწრებად ან უნივერსიტეტის ჟურნალში სტატიის გამოსაქვეყნებლად.

**აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>მიზნებში ნათქვამია, რომ პროგრამა სტუდენტებს ამზადებს „თანამედროვე ფილოლოგიის“ სპეციალობის დარგში. ეს ამოცანები არის საჯარო და ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე, გამოხატავს კონკრეტული დარგის განვითარებისადმი წვლილის შეტანას და თანმიმდევრულია საქართველოს უნივერსიტეტის მისიასთან, ამოცანებთან და სტრატეგიასთან.<br><br>მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ დარგის განმარტება არ არის მკაფიო (და შესაბამისად, არც მიღწევადი და რეალისტურია), რამდენადაც ლინგვისტიკის ლიტერატურის დარგში არ არსებობს ისეთი დარგი, რომელიც „თანამედროვე ფილოლოგიას“ ეხება.<br><br>უფრო მეტიც, ექსპერტთა ჯგუფისთვის მიწოდებული ყველა მასალის გაანალიზებისა და პროგრამასთან დაკავშირებულ პირთა სხვადასხვა ჯგუფებთან გასაუბრებების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ პროგრამის სახელწოდება ზედმეტად ზოგადია და შესაბამისად დამაბნეველია მათთვის, ვინც ამ ინფორმაციას კითხულობს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებული ყველა ნაშრომი (გამოკითხულმა კურსდამთავრებულებმაც დაგვიდასტურეს ეს იდეა) გვიჩვენებს, რომ რეალურად ამ პროგრამის ფარგლებში შესრულებული ნაშრომი ეხება კოგნიტური ლინგვისტიკის, თეორიული ლინგვისტიკისა და კულტურათმცოდნეობის დარგებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება უნდა შეიცვალოს პროგრამის რეალური შინაარსის მიხედვით ან თუ ფილოლოგიის ფართო სფეროს შესწავლაა რეალური მიზანი, მაშინ პროგრამამ უნდა გააფართოვოს სადოქტორო ნაშრომების თემების არეალი, დასახელებული ამოცანების მიხედვით.<br><br>პროგრამით განსაზღვრული უნარები და კომპეტენციები შეესაბამება საგნების სილაბუსებში ჩამოთვლილ უნარებსა და კომპეტენციებს, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი პრობლემას კვლავ დასახელებაში ხედავს. ჩანს, რომ პროგრამამ ვერ მიაგნო სათანადო სახელწოდებას მის მიერ შეთავაზებული კონტენტისთვის, ჩვენ ვხედავთ სიტყვას |

„ლინგვისტიკა“, რომელიც ფრჩხილებშია ჩასმული, რაც კიდევ უფრო დამაბნეველია პროგრამის ამოცანების აღწერისას:

„ახალი, ინტერდისციპლინური, შემოწმებადი ცოდნის გენერირება ფილოლოგიის (ლინგვისტიკა) დარგის უახლეს კრიტიკულ მონაცემებზე დაყრდნობით“.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სილაბუსები;
- წარმოდგენილი დისერტაციები.
- ვებ-საიტი;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- გასაუბრება ფაკულტეტის/სკოლის ადმინისტრაციასთან;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- გასაუბრება დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან.

**რეკომენდაციები:**

**რჩევები:**

რეკომენდებულია პროგრამის სახელწოდების შეცვლა, რათა იგი რეალურად ასახავდეს ნამდვილ ამოცანებს ან მეორე გამოსავალი ის იქნება, თუკი პროგრამაში ახალ საკვლევ სფეროებს დაამატებთ, რომლებიც ტრადიციულად განიხილება ქოლგა ტერმინი „ფილოლოგიის“ ქვეშ.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის  არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2. პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამის სწავლის შედეგები მიზნებთან თანმიმდევრულია. შეესაბამება სადოქტორო საფეხურის სწავლების აღმწერებს ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. ისინი არის გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტური. გამოიყენება პირდაპირი (მაგალითად სტუდენტის ნაშრომის ანალიზი) და არაპირდაპირი (მაგ. სტუდენტების გამოკითხვის შედეგები) მეთოდები პროგრამის შეფასებისთვის და თვითშეფასების პროგრამაში ნათქვამია, რომ მანჩესტერის უნივერსიტეტი, ტალინის უნივერსიტეტი და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გამოიყენება სამიზნე ნიშნულებად.

ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სწავლის შედეგები (ამ შემთხვევაში სადოქტორო ნაშრომი) არ არის შემუშავებული ფილოლოგიის დარგში დასაქმების მოთხოვნების მიხედვით, როგორც ეს თვითშეფასების ანგარიშშია ნათქვამი, რადგან ექსპერტთა ჯგუფმა ნახა შრომის ბაზრის სხვა საჭიროებები. არ ვამბობთ, რომ სტუდენტების მიერ შეძენილი უნარები არ არის კარგი, თუმცა ისინი ძალიან ვიწრო სფეროს, კონკრეტული უნარებია. დასაქმებულთა გამოკითხვის და იმ ამოცანების მიხედვით, რომელთა შესრულებაც უწევთ დამსაქმებლებს თავიანთი კარიერის განმავლობაში, შევნიშნეთ გარკვეული უნარების ნაკლებობა, რომლებიც სასარგებლო იქნებოდა თარგმანის დარგში, ლიტერატურული ტექსტების ადაპტირებაში, ახალგაზრდა სტუდენტებისთვის სწავლების მეთოდოლოგიაში, უცხო ენების სწავლების თეორიების ცოდნაში და ა.შ. გვესმის, რომ სადოქტორო პროგრამა შეიძლება ვერ მოიცავდეს ყველა ამ სფეროს, მაგრამ დასაქმების მოთხოვნების მიხედვით (რაც გამოვლინდა დასაქმებულებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვით), ამ უნარებიდან ზოგიერთის ფლობა ძალიან გამოსადეგი იქნებოდა შრომის ბაზარზე.

დასაქმებულებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუებში მკაფიოდ ჩანდა, რომ დამსაქმებლები (გამომცემლობები ერთის მხრივ) დაინტერესებულები არიან მთარგმნელებითა და თარჯიმნებით, და არა კოგნიტურ ლინგვისტიკაში დოქტორის ხარისხის მქონე ადამიანებით; მეორეს მხრივ, ენის შემსწავლელ ცენტრებს ესაჭიროებათ ინგლისური ენის პედაგოგები და არა თეორიული ლინგვისტიკის დოქტორები.

მეორეს მხრივ, ამავე უნივერსიტეტის მიერ დაქირავებული კურსდამთავრებულები არიან ინგლისური ენის მასწავლებლები, თუმცა მხოლოდ რამდენიმე მათგანი ასწავლის ლინგვისტიკის კურსს და არც ერთი არ ასწავლის კოგნიტურ ლინგვისტიკას. უნივერსიტეტის ინგლისური ენის პედაგოგებისთვის ერთადერთი მოთხოვნაა დოქტორის ხარისხის ფლობა, რომელიც არ არის შეზღუდული განათლებით. ოფიციალურად,

დოქტორის ხარისხი ფილოლოგიაში არის საკმარისი იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა ინგლისური ენის პედაგოგად დაიქირავოს პირი, თუმცა ყოველთვის კარგი პრაქტიკაა, რომ სამუშაო დავალებები ემთხვეოდეს დოქტორის ხარისხის მფლობელის ექსპერტიზას.

პროგრამას აქვს განსაზღვრული მექანიზმი სწავლის შედეგების შესაფასებლად. ეს შედეგები რეგულარულად ფასდება, თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ. იყენებენ რუბრიკებს, რომლებიც ვფიქრობთ რომ გამჭვირვალეა და ობიექტური, სტუდენტების შესაფასებლად.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი ინფორმირებულია სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებზე და უნივერსიტეტი იძლევა შესანიშნავ შესაძლებლობებს პროფესიული განვითარებისთვის, რათა გაზომოს სტუდენტთა შედეგები (თუმცა ესენია სპეციალური ტრენინგ კურსები მასწავლებლებისთვის, კურსები, რომლებიც სპეციალურად შეიქმნა Erasmus+-ის ფარგლებში, ასევე სხვა კურსები, რომლებიც ტარდება კონკრეტული კათედრებიდან).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პროგრამის სწავლის შედეგები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ვებ-საიტი;
- გამოკითხვის  შედეგები;
- გასაუბრების შედეგები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვების შედეგები;

**რეკომენდაციები:**

- პროგრამა უნდა მოიცავდეს შუალედური შეფასების ანგარიშს: კონკრეტულ პერიოდში (დაცვამდე 6 თვეზე ადრე მაინც) კვლევა უნდა წარედგინოს გარე შემფასებლებს, რათა ისინი დაეხმარონ სტუდენტებს თავიანთი უკუკავშირით. არსებობს დოკუმენტი, რომელიც აღწერს პროცედურას, მაგრამ იქ არ არის ასახული ვადების შესახებ ინფორმაცია ან სახელმძღვანელო ამის თაობაზე. შესაბამისად, დოკუმენტმა უნდა განსაზღვროს გონივრული ვადები ან მისცეს გარკვეული მითითებები ამის შესახებ, რათა თავიდან იქნას აცილებული დაცვამდე 1 თვით ადრე შეფასების შესაძლებლობა.
- სტუდენტები ინფორმირებულები უნდა იყვნენ საერთაშორისო, რეცენზირებად ჟურნალებში გამოქვეყნების აუცილებლობის შესახებ (არამხოლოდ ადგილობრივ ჟურნალებში). ხელმძღვანელმა ძლიერად უნდა წაახალისოს სულ მცირე ერთი ნაშრომის გამოქვეყნება თეზისთან დაკავშირებულ  თემაზე ასეთ ჟურნალებში. ეს არის საუკეთესო გზა რათა მოხდეს შინაარსის კონტროლი (ეს მიღებული პრაქტიკაა სადოქტორო პროგრამებისთვის).

| |
|---|
| **რჩევები:**<br><br>● სტუდენტებისთვის გამოქვეყნების პროცესში დასახმარებლად, 3 კრედიტიანი საგნის დამატება შეიძლება, თუ როგორ მოიძიონ ჟურნალები ინდექსირებულ მონაცემთა ბაზებში, როგორ დაწერონ სტატიები და აღწერონ თავიანთი კვლევა და ა.შ.<br><br>● არ არსებობს კავშირი ამ სადოქტორო პროგრამის შედეგებს, შეძენილ უნარებსა და შრომის ბაზრის მოთხოვნილ უნარებს შორის. რამდენადაც ამ პროგრამის ერთ-ერთი მიზანია, მოამზადოს სტუდენტები შრომის ბაზრისთვის, სასურველია შინაარსის გადააზრება. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br><br>● სტუდენტებს ეძლევათ გარკვეული თანხა კონფერენციებზე დასასწრებად ან უნივერსიტეტის ჟურნალში სტატიის გამოსაქვეყნებლად. |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან | | X | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>საქართველოს უნივერსიტეტს აქვს გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი პირობები პროგრამაზე მიღებისთვის. ამ კონკრეტული პროგრამისთვის მოქმედებს წინაპირობა, რომ აპლიკანტი ენას ფლობდეს მინიმუმ B2 დონეზე, ეს გამოქვეყნებულია ვებ-გვერდზე. მაგისტრის ხარისხის ფლობა სავალდებულოა ამ პროგრამაზე ჩასარიცხად. პირობები და პროცედურები სრულად შეესაბამება სადოქტორო პროგრამას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>● საგანმანათლებლო პროგრამა;<br>● პროგრამაზე მიღების მოთხოვნები (კრიტერიუმები და პროცედურები);<br>● თვითშეფასების ანგარიში;<br>● ვებ-საიტი;<br>● აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>● ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები;<br>● პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;<br>● ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და სირთულე შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის დონეს. პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები არის თანმიმდევრული და ლოგიკურად აგებული, სტუდენტებს შეუძლიათ არჩევითი კომპონენტების არჩევაც.

რაც შეეხება პროგრამის საგნებს: საერთო ჯამში კარგად შემუშავებულია სტუდენტის საბოლოო შედეგებზე დაყრდნობით. ექსპერტთა ჯგუფს ასევე სჯერა, რომ ეს საგნები მოიცავს სტუდენტთა საჭიროებებს. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, პროგრამის შემუშავებისთვის, ჯერ ჩატარდა კვლევა მოცემულ სპეციალობაზე მოთხოვნის დასადგენად და მხოლოდ ამის შემდეგ შემუშავდა პროგრამა, უამრავი აგენტის დახმარებით. თუმცა, თვითშეფასების ანგარიშში დეტალურად არ არის ჩამოთვლილი, თუ რა ტიპის აგენტებზეა საუბარი. ამიტომ ჩვენთვის რთულია იმის გაგება თუ რა სახის საჭიროებები განსაზღვრეს ამ აგენტებმა. როგორც აქამდე აღინიშნა, სტუდენტები და კურსდამთავრებულები საკმაოდ კმაყოფილები ჩანდნენ შეძენილი უნარებით, მაგრამ გასაუბრების დროს დავასკვენით, რომ სწავლებას პირდაპირი კავშირი არ ჰქონდა მათ კარიერულ საჭიროებებთან. ამ მიზეზით, ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ საჭიროა განხორციელდეს პროგრამის რეფორმულირება, ან თუნდაც ნაშრომის თემათა კატალოგის რეფორმულირება.

პოტენციურ დამსაქმებლებთან გასაუბრების შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა დაასკვნა, რომ დასაქმების დარგში უმთავრესი მოთხოვნა არის თარჯიმნებზე და კორექტორებზე, საგამომცემლო სახლებში. პროგრამის კურიკულუმში ერთ-ერთი საგანია „ტექსტის რეფერირება და თარგმანი“, მაგრამ კიდევ სხვა უნარებია საჭირო მხატვრული ტექსტების და რაც მთავარია, სამეცნიერო პუბლიკაციების სათარგმნად (რასაც გამოკითხული დამსაქმებლები მოითხოვენ).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების შედეგები;
- ინტერვიუების შედეგები.

| |
|---|
| • ვებ-საიტი;<br>• პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;<br>• წარმოდგენილი დისერტაციები.<br>• სილაბუსები;<br>• ვებ-საიტი;<br>• ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;<br>• სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;<br>• აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი; |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამას უნდა ჰქონდეს საჯარო პროტოკოლი ან გზამკვლევი, თუ როგორ უნდა დაიწეროს ნაშრომი (ოფიციალური სტრუქტურა, რა უნდა იყოს პირველ გვერდზე, უნივერსიტეტის ლოგო, გვერდების რაოდენობა, ბიბლიოგრაფიის მითითების ტიპი და ა.შ. ასევე შინაარსის გრაფა, რომელიც სტუდენტებს გზამკვლევად გამოადგებათ).<br>• ნაშრომის მეთოდოლოგიური ნაწილი უნდა შემოწმდეს კვლევის მეთოდოლოგიის ექსპერტების მიერ.<br>• ნაშრომის ზოგიერთი საკითხი უნდა იყოს დაკავშირებული შრომის ბაზრის საჭიროებებთან. |
| **რჩევები:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის  არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 2.3 სასწავლო კურსი

- ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

თითოეულ ძირითად კურსზე სტუდენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან; გარდა ამისა, თითოეული კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს; მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფი სერიოზულად შეშფოთებულია შემდეგი კურსებით:

1. „ელექტრონული სწავლების მართვის სისტემები“, რომელიც მიზნად ისახავს Moodle პლატფორმის პრაქტიკული მოხმარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას და მისი მოცულობა შეადგენს 5 კრედიტს. განსაკუთრებით პრობლემა გვაქვს იმ ფაქტთან, რომ მთელი სემესტრი ეთმობა ისეთი მიზნის მიღწევას, როგორიცაა „ელექტრონული სწავლების მართვის სისტემის ცოდნა და ელექტრონულ სწავლებაში პრაქტიკული უნარების ჩამოყალიბება“, როგორც ეს სილაბუსშია ნათქვამი. მტკიცედ გვწამს, რომ ყოვლისმომცველი ტრენინგი სავსებით საკმარისი იქნება და დანარჩენი კი კურსის მსვლელობის დროსაც მიიღწევა, განსაკუთრებით კი მაშინ, როდესაც მართვის სისტემა Moodle-ა. ექსპერტთა ჯგუფს მტკიცეს სჯერა, რომ ამ პლატფორმით კურსების მართვის სწავლა, წმინდად პრაქტიკული უნარია და მისი შესწავლა შესაძლებელია მუშაობის პროცესში, მოკლე  თუ ერთ ან ორდღიანი შესავალი ტრენინგით.  გარდა ამისა, პროგრამა მიზნად არ ისახავს პედაგოგების მომზადებას, ამ მიზეზით, ექსპერტთა ჯგუფი ვერ ხედავს ამ საგნის არსებობის აუცილებლობას პროგრამაში.  ასეთი უნარის საჭიროება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მოქმედი ლექტორებისთვის და უნივერსიტეტის პერსონალისთვის ამ უნარის გამოსამუშავებლად ტრენინგ კურსის ჩატარებაა შეიძლება.

2. „ტექსტის რეფერირება და თარგმანი“. ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მოიძია ზუსტი კავშირი მის შინაარსსა და პროგრამის საბოლოო შედეგებს შორის (ნაშრომის თემები და ხელმძღვანელების კვლევების მთავარი სფერო) და ვეჭვობთ, რომ არსებობს გადაფარვა ამ კურსისა და კურსის - „აკადემიური წერა აკადემიური პუბლიკაციისთვის“ შინაარსებს შორის .

ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა სწავლებისთვის დათმობილი უამრავი საათი, რაც შეიძლება გადანაწილდეს უფრო მეტ კვლევით საათზე ან ისეთ საგნებზე, რომლებიც მეტად არის დაკავშირებული კვლევასთან, მაგალითად, სტუდენტებს ასწავლოთ, როგორ გამოაქვეყნონ საერთაშორისო ჟურნალებში. ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სტუდენტები სამ სემესტრს (1.5 წელს) ატარებენ სასწავლო კურსების გავლაში და შემდეგ ორ წელს - სათანადო

კვლევაში. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ კვლევისთვის გამოყოფილი დრო არ არის საკმარისი.

ბაკალავრიატის 4 წლის და მაგისტრატურის 2 წლის გავლის შემდეგ, სადოქტორო კურსების შემცირება შეიძლება 1 წლამდე, დანარჩენი კი დაეთმობა კვლევას. სილაბუსებში მოცემული ლიტერატურა შეესატყვისება კურსის შედეგებს და ეფუძნება დარგის ძირითად მიღწევებს და პუბლიკაციების თარიღები კავშირშია კურსის შინაარსთან. სილაბუსები წარმოდგენილი უნდა იყოს ერთიანი ფორმით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-საიტი;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (CV);

**რეკომენდაციები:**

- შეამოწმეთ საგნების შინაარსი: ზოგიერთი შინაარსი არ უკავშირდება იმ კვლევებს, რომლებსაც სტუდენტები ახორციელებენ (არამედ ამზადებს მათ პედაგოგებად, მაგრამ ამ შემთხვევაში, საგანი სამაგისტრო პროგრამაში უნდა იყოს შეტანილი).

**რჩევები:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**

**შეფასება**

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებმა შეიძინონ თეორიული უნარები, რათა შეძლონ მონაწილეობის მიღება კვლევით პროექტებში. ამ უნარებს შეიძენენ იმ საგნების მეშვეობით, რომელთაც გადიან სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვისას. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს სწამს, რომ სტუდენტები უფრო ღრმა და მრავალფეროვან კვლევაში უნდა იყვნენ ჩართული ნაშრომზე მუშაობისას, რამდენადაც ყველა სტუდენტსა და კურსდამთავრებულს, რომელთაც გავესაუბრეთ, ჰყავდათ ერთი და იგივე ნაშრომის ხელმძღვანელი, რაც იმას ნიშნავს, რომ საკვლევი თემების დიაპაზონი უკიდურესად შეზღუდული იყო (ეს დადასტურდა მას შემდეგ, რაც ვკითხეთ მათ თემებზე და კვლევის ექსპერიმენტის ფორმაზე).

ამ ფაქტის გამო, პროგრამის შედეგები შეზღუდულია თემებში, რაც სტუდენტებს აიძულებს მუდმივად ერთსა და იმავე თემებსა და სფეროებზე გაამახვილონ ყურადღება, საკვლევი ცვლადების სიმწირით. ეს სერიოზულ ეჭვს ბადებს, თუ რამდენად შეძლებენ სტუდენტები სხვა კვლევით პროექტებზე მუშაობას, გარდა საკუთარი დისერტაციისა.

ექსპერტთა ჯგუფი აცნობიერებს, რომ ეს არ არის სტანდარტის პირდაპირი მოთხოვნა საქართველოში. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობს რა საერთაშორისო წევრი, ვფიქრობთ, რომ ამ საკითხის წამოწევა მოცემულ ანგარიშში აუცილებელია. ეს არის ძირითადი საკითხი ყველა საერთაშორისო უნივერსიტეტში, რომლებიც საერთაშორისო ხარისხის კვლევის რეიტინგებში ჩნდებიან (როგორებიცაა QS ან The Times Higher Education), რომ ნაშრომის ხელმძღვანელები და პედაგოგებიც კი, მიეკუთვნებიან კვლევით ჯგუფს. ეს ფაქტი გულისხმობს, რომ მკვლევარები მუდმივ კომუნიკაციაში არიან სხვა მკვლევარებთან (თუნდაც სხვა დარგის), ასევე საერთაშორისო დონეზეც, და რომ მათ შეუძლიათ შეიტანონ განაცხადი საერთაშორისო დაფინანსებისთვის (პროექტებზე). ეს ასევე ნიშნავს, რომ მათი კვლევა ფასდება საერთაშორისო დონეზე.

ექსპერტთა ჯგუფი ასევე აცნობიერებს, რომ ლექტორები, რომლებიც კურსებს ასწავლიან, არ არიან ინფორმირებული დაცული ნაშრომების შესახებ და მათ უმრავლესობას არასოდეს წაუკითხავს ეს ნაშრომები და არც დაცვას დასწრებიან. ეს მკაფიოდ მიუთითებს იმაზე, რომ პროგრამის ბოლო პერიოდში, როდესაც უნდა განხორციელდეს კვლევა ხდება სტუდენტისა და ხელმძღვანელის იზოლირება: ლექტორებისგან, რომლებმაც პროგრამის პირველ ეტაპებზე მოახდინეს სტუდენტთა ფორმირება და ასევე, კვლევითი ჯგუფის წევრებისგან, რომელთაც შეუძლიათ სტუდენტების დაეხმარება კვლევის სამომავლოდ გაგრძელებაში.

ექსპერტთა ჯგუფი, ასევე სერიოზულ პრობლემად მიიჩნევს კვლევის მეთოდების ზოგიერთ ნაწილს. რამდენიმე ნაშრომის განხილვის საფუძველზე, მკაცრად გირჩევთ, რომ პროგრამამ შეიმუშავოს მექანიზმი სტუდენტების მუშაობის ორმაგად გადასამოწმებლად კვლევის მეთოდის ფორმის ხარისხის კონტროლის, მეთოდოლოგიური ნაწილის აღწერის და თვისებრივი მონაცემების სამეცნიერო ანალიზის თვალსაზრისით. ამისათვის, გთავაზობთ, რომ ნაშრომის სამუშაო ვერსია მიაწოდოთ გარე შემფასებლებს, დისერტაციის დასრულებამდე, სულ მცირე 6 თვით ადრე.

პროგრამის მიერ მოწოდებული ნაშრომის ნიმუშის რევიზიაში (რომლებზეც, ვიმედოვნებთ, რომ იყვნენ სხვებზე უკეთესი), აღმოვაჩინეთ რომ არ არის მოცემული მეთოდოლოგიური მიდგომის ტიპის დეტალური განმარტება, შეგროვებულ მონაცემთა ტიპის აღწერა და ჩატარებული ანალიზის ტიპი. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე აღმოაჩინა გარკვეული ხარვეზები ბიბლიოგრაფიის ნაწილში. ასეთი ხარვეზები არ უნდა ყოფილიყო, თუკი გავითვალისწინებთ, რომ დისერტაცია არის უმაღლესი აკადემიური ნაშრომი, რომელსაც აკადემიკოსი თავის სიცოცხლეში გააკეთებს.

ექსპერტთა ჯგუფი ფიქრობს, რომ სტუდენტები უკეთ ინფორმირებულები უნდა იყვნენ სხვადასხვა ტიპის პუბლიკაციებზე (გასაუბრების დროს დავაზუსტეთ, რომ მათ არ იციან ამის შესახებ) და უნდა წახალისდნენ, რომ გამოაქვეყნონ ნაშრომები რეცენზირებად ჟურნალებში, რომლებიც საყოველთაოდ ცნობილია ციტირების მონაცემთა ბაზებში და აკადემიურად აღიარებულია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში. როგორც ჩანს, სტუდენტები აქვეყნებენ არა ინდექსირებად ჟურნალებში (რომლებიც შეიძლება რეცენზირებულიც არ იყოს). მართალია ძალიან დადებითი ფაქტია, რომ სტუდენტები ყველგან აქვეყნებენ სადაც შეუძლიათ თავიანთი ცოდნის დონის ფარგლებში, თუმცა ასეთ ჟურნალებში გამოქვეყნება დოქტორანტს აძლევს გარანტიას, რომ მის ნაშრომს განიხილავენ გარე შემფასებლები, რომლებიც ობიექტურად და საერთაშორისო სტანდარტებით შეაფასებენ ნაშრომს. ცნობილია, რომ ევროპის უმეტეს ქვეყნებში, მასწავლებლები ვალდებულები არიან გაიარონ აკრედიტაცია, იმისათვის რომ შეიტანონ განაცხადი დასაქმებისთვის უნივერსიტეტიში. კურიკულუმის ნაწილი, რომელიც მიჩნეულია ყველაზე მნიშვნელოვნად ამ აკრედიტაციისთვის განხილვისას, არის აპლიკანტის კვლევითი კურიკულუმი. ამ კუთხით, გვჯერა რომ საქართველოც მალე გააკეთებს იგივეს, სწორედ ამიტომ, სადოქტორო პროგრამებმა უნდა მოამზადონ თავიანთი სტუდენტები სამომავლო აკრედიტაციების წარმატებულად გავლისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიაგნო კონკრეტულ ინფორმაციას სადოქტორო ნაშრომის შექმნის პროცესისა და დაცვის შესახებ. გასაუბრებებიდან გაირკვა, რომ ე.წ. წინასწარი დაცვა ხდება საჯარო დაცვამდე 1 თვით ადრე, რომელსაც ჩვენ სრულიად არასაკმარისად მივიჩნევთ, რადგან დაცვამდე ერთი თვე არ არის საკმარისი დრო, ნაშრომის გასაუმჯობესებლად ან მასში მნიშვნელოვანი ცვლილებების განსახორციელებლად. შესაბამისად, მტკიცედ გვწამს, რომ ეს არ არის საკმარისი. მეოთხე სემესტრის მიმდინარეობისას (მაგალითად), სტუდენტმა უნდა წარადგინოს იმ დროისთვის არსებული მიგნებების ანგარიში, რათა გარე ექსპერტთა ჯგუფმა შეძლოს სტუდენტის სწავლის შედეგების შეფასება და შესთავაზოს მას, კვლევითი ნაშრომის გაუმჯობესების გზები. ეს პრაქტიკა საკმაოდ გავრცელებულია ევროპის უამრავ უნივერსიტეტში და, ნებისმიერ შემთხვევაში, წინასწარი შეფასების განხორციელება ეჭვქვეშ კი არ დააყენებს ხელმძღვანელის მუშაობას, არამედ პირიქით, გაამდიდრებს ნაშრომის შინაარსს ახალი ხედვით და დოქტორანტს მიაწვდის შესანიშნავ უკუკავშირს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;

- ინტერვიუების შედეგები აკადემიურ პერსონალთან;
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;
- სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;
- ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ.
- მემორანდუმები.

რეკომენდაციები:

- უფრო მრავალფეროვან თემებს უნდა მოიცავდეთ (კვლევის იმავე სფეროში).
- საგნების ლექტორები უნდა მიჰყვნენ დოქტორანტებს ნაშრომის წერის პროცესში, ექსპერიმენტის შემუშავებაში, მონაცემთა ანალიზში და ა.შ. ამის გაკეთება შესაძლებელია იმ კომისიაში მონაწილეობით, სადაც ხდება ნაშრომის წარდგენა და კანდიდატისთვის, მიმოხილვის (ანგარიშის) დაწერით.
- სადოქტორო ნაშრომს ერთზე მეტი მკვლევარი უნდა ხელმძღვანელობდეს (მაგალითად, ეს შეიძლება იყოს, ხელმძღვანელს პლუს ტუტორი. მაგრამ ტუტორი უნდა იყოს ექსპერტი მკვლევარი).
- სტუდენტებმა მეტი ინფორმაცია უნდა მიიღონ იმის თაობაზე, თუ როგორ გამოაქვეყნონ სტატიები იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალებში, რამდენადაც ისინი არ აქვეყნებენ ასეთ ჟურნალებში და შესაბამისად კვლევის ხარისხიც შეიძლება გარკვეულ ეჭვს ბადებდეს.
- დაცვის შესახებ საჯარო ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს (ნაშრომის ჩაბარება, მისი საჯარო განხილვა, დაცვაზე დაშვება, დაცვის თარიღი და ა.შ.).

რჩევები:

- პროგრამას უნდა ჰყავდეს მასთან ასოცირებული კვლევითი ჯგუფი, ამგვარად სტუდენტები ისარგებლებენ კვლევის უფრო ფართო დიაპაზონით და კვლევით პროექტებში მუშაობის შესაძლებლობით.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სწავლებისა და სწავლის მეთოდები ადეკვატურია შეთავაზებული კურსის ტიპისთვის, ისინი შეესაბამება განათლების დონესა და კურსის შინაარსს. შეფასების სისტემის ცენტრშია სტუდენტი, ხოლო საგნები გვთავაზობს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის შეფასების მრავალფეროვან გზებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსები;<br>• თვითშეფასების ანგარიში<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>• პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები; |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br>**X მოთხოვნებს შეესაბამება**<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.6. სტუდენტების შეფასება |
| --- |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სტუდენტთა შეფასება ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3, 05.01.07 ბრძანების შესაბამისად. შეფასების მეთოდები, როგორც ჩანს, შესაფერისია კურსისთვის და მისი სწავლის შედეგებისთვის, თუმცა ექსპერტთა ჯგუფი სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს სადოქტორო დისერტაციის შინაარსთან დაკავშირებით. ქვევით ჩამოთვლილია სპეციფიკური პრობლემები, რომლებსაც წავაწყდით: დისერტაციის კვლევის მეთოდოლოგია: ჩვენს მიერ შემოწმებულ სადოქტორო დისერტაციაში ვერ ვიპოვნეთ კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლიანი აღწერილობა, ვერც მონაცემების ანალიზისთვის გამოყენებული მეთოდების დეტალური აღწერა. ჩვენ ასევე გამოვთქვამთ შეშფოთებას მონაცემების შეგროვების საშუალებების შესახებ.<br><br>სწორედ ამ მიზეზით, გაუგებარია, საექსპორტო ჯგუფისთვის წარმოდგენილ სხვადასხვა კვლევითმა ნაშრომები გაივლიან თუ არა ინდექსირებული ჟურნალის საექსპერტო შეფასებას. როგორც ჩანს, ამ ფაქტს ადასტურებს ისიც, რომ ჩვენთვის წარმოდგენილ დოკუმენტებში ვერ აღმოვაჩინეთ პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში. ეს არის პროგრამის სუსტი წერტილი, რადგანაც დღესდღეობით, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში, სადოქტორო პროგრამაში ჩატარებული კვლევების შეფასების საუკეთესო საშუალებაა იმ პუბლიკაციების შეფასება, რომლებიც დოქტორანტებმა გამოაქვეყნეს საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. ეს დამოუკიდებლად ხორციელდება იმისდა მიუხედავად, ეხება თუ არა დისერტაციის კვლევის სფერო ადგილობრივ თუ საერთაშორისო თემას, რადგანაც ეს ჟურნალები აფასებენ ხარისხს და ინტერესს.<br><br>ამჟამად, ორი კვლევა, კვლევის წერის წლები და შემდეგ დაცვა, ბადებს სერიოზულ ეჭვს საკმარისი უკუკავშირის მიღების შესახებ და რაც უფრო მნიშვნელოვანია, ნაშრომს არ ამოწმებს მეორე რეცენზენტი მანამ, სანამ უკვე ძალიან გვიანი არ არის, ანუ დაცვის დროს.<br><br>დაცვის პროცესის შესახებ, ჩვენ ვერ ვიპოვნეთ რაიმე დოკუმენტი, რომელშიც აღწერილია დაცვის ოქმი. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ შევძელით სათანადოდ შეგვეფასებინა სადოქტორო პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მომენტი. არც ექსპერტთა პანელის წევრებთან დაკავშირებული რეგულაციები გვაქვს (რა ტიპის სასწავლო გეგმა უნდა ჰქონდეთ მათ, რა ტიპის მკვლევარები უნდა იყვნენ ისინი).<br><br>ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ ორი წელი მოკლე დროა კვლევის სრულად ჩასატარებლად და დისერტაციის დასაწერად, რადგანაც ხარისხის „საზომი ორი პუნქტი“ უნდა დაწესდეს დისერტაციის დაცვამდე რამდენიმე თვით ადრე:<br><br>1. ერთია - ჩატარებული კვლევის შედეგების გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში (Scopus, WoS, ErihPlus და ა.შ.). |

|  |
|---|
| 2. მეორეა - დისერტაციის პროცესში შეფასება, დამოუკიდებელი ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რომლის მიზანია სტუდენტთა ნაშრომებს შესთავაზოს ახალი შეხედულებები, შესწორებები და კვლევითი შეთავაზებები. იდეალურ შემთხვევაში, უნდა იყოს ორი დამოუკიდებელი რეცენზენტი, ხოლო მათ ნაშრომი უნდა წარედგინოთ წერილობითი ფორმით. ზევით აღნიშნული ორი პუნქტის შესრულებით, ამაღლდებოდა დისერტაციის ხარისხი და გამოვლინდებოდა შესაძლო მეთოდოლოგიური პრობლემები დისერტაციის დაცვამდე. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• დისერტაციის წინადადების დებულება;<br>• დებულებები სადოქტორო კოლოკვიუმისთვის;<br>• დებულებები კვლევის სემინარისთვის;<br>• წარმოდგენილი დისერტაციები. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>• მომზადების პროცესში თეზისი უნდა შეაფასოს დამოუკიდებელმა ექსპერტთა ჯგუფმა მინიმუმ 1 წლით ადრე და ანგარიში თეზისზე მომზადების პროცესში უნდა გაეგზავნოს კანდიდატს, რათა, საჭიროების შემთხვევაში ჯერ კიდევ იყოს დრო გარკვეული ნაწილის გასასწორებლად. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**<br><br>• ჩატარებული კვლევის ნაწილობრივი შედეგების გამოქვეყნება რეფერირებად ჟურნალებში (Scopus, WoS, ErihPlus და ა.შ.). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | | X | |

## 3 სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

| 3.1. სტუდენტთა მხარდამჭერი სერვისები |
|---|
| სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>როგორც ჩანს, სტუდენტები იღებენ სათანადო მხარდაჭერას სასწავლო გეგმის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, მხარდაჭერის სერვისების, დასაქმების შეთავაზებების და ა.შ. შესახებ.<br><br>უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კარგ შესაძლებლობებს, რათა მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო კონფერენციებში, როგორც საქართველოში, ასევე საერთაშორისო დონეზე. ამის მიუხედავად, სადოქტორო პროგრამა არ არის დაკავშირებული არცერთ კვლევით პროექტთან ან კვლევით ჯგუფთან. ამ მიზეზით, სტუდენტებს არ აქვთ შესაძლებლობა გააგრძელონ უკვე არსებული კვლევითი სამუშაო ან საერთაშორისო პროექტები.<br><br>აკადემიური პერსონალის დატვირთვა მოიცავს სტუდენტების საკონსულტაციო საათებს, მაგრამ მხოლოდ დისერტაციის ხელმძღვანელთან მიმართებაში. სხვა ლექტორები ასწავლიან კურსებს, რომლებსაც მათ სთხოვენ და კურსის დასრულების შემდეგ, ისინი არ ხვდებიან სტუდენტს და არც ზედამხედველობას უწევენ მას. რეკომენდებულია კიდევ უფრო მეტი უწყვეტობა, თუნდაც ეს იყოს დისერტაციის მეთოდოლოგიასთან |

| |
|---|
| დაკავშირებული გარკვეული საკითხების შემოწმება, მაგალითად, გამოყენებული ანალიზის თვისებრივი მეთოდის შედგენა, ან თვისებრივი ანალიზის აღწერილობის მოცულობა. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• საგანმანათლებლო პროგრამა;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ვებ-საიტი;<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>• პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;<br>• ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;<br>• სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;<br>• აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;<br>• კითხვარები დამსაქმებელთათვის;<br>• ანგარიში დამსაქმებელთა გამოკითხვის შესახებ;<br>• ინტერვიუ პოტენციურ დამსაქმებლებთან;<br>• გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;<br>• მემორანდუმი. |
| **რეკომენდაციები:**<br><br>პროგრამა უნდა უკავშირდებოდეს ეროვნულ ან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებს, ერთი ან მეტი კვლევითი ჯგუფის ფარგლებში, რათა სტუდენტებს შეეძლოთ მონაწილეობა მიიღონ და გაეცნონ გამოცდილებას, რეალურ საკვლევ გარემოში ყოფნისას. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

ინტერვიუს შედეგად, პროგრამის ხელმძღვანელმა დაასახელა სამი აქტიური ნაშრომის ხელმძღვანელი, მათ შორის თავისი თავიც და დაგვარწმუნა, რომ მომავალში პროგრამაზე იქნება შვიდი ხელმძღვანელი. თუმცა, ჩვენთვის წარმოდგენილი ყველა თეზისს ხელმძღვანელობდა პროგრამის ხელმძღვანელი. დოკუმენტების თანახმად, მხოლოდ ძალიან ცოტას ჰყავდა სხვა ხელმძღვანელი. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იგი სრულიად კვალიფიციურია, რათა უხელმძღვანელოს თეზისს, თემების მრავალფეროვნება მწირია, ხოლო მეთოდების მასშტაბი სადოქტორო პროგრამისთვის ძალიან მცირე.

არ არსებობს დოკუმენტი ხელმძღვანელის უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრის შესახებ. ეს ინფორმაცია ინტერნეტშიც არ მოიპოვება.

კვლევის პროცესში, ხელმძღვანელი აძლევს რეკომენდაციებს სტუდენტებს კვლევის დიზაინის, პროექტის მენეჯმენტისა და დისერტაციის წერის თაობაზე. მიუხედავად ამისა, არ არსებობს არანაირი რეკომენდაცია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრაციის პროცესის შესახებ, ან სამეცნიერო ნაშრომების რეფერირებად კვლევით ჟურნალებში გამოქვეყნების შესახებ (როგორც გამოიკვეთა, არსებული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ინტერვიუებიდან).

სადოქტორო დისერტაციასთან დაკავშირებით, რაც აშკარად პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი შედეგია, შეფასების ჯგუფმა ვერ აღმოაჩინა ვერანაირი ოქმი ან ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შემუშავდეს თეზისი. ვერ აღმოვაჩინეთ ასევე შეთანხმების ნიმუში ხელმძღვანელსა და დოქტორანტს შორის, ან დაცვის აქტის რაიმე რეგლამენტი და კალენდარი, თუ როდის უნდა განხორციელდეს წინასწარი დაცვა, ან სადოქტორო დისერტაციის ჩაბარებისა და დაცვის ნებისმიერი პროცედურის თაობაზე ინფორმაცია. ამასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფისთვის გაუგებარია, შესაძლებელია თუ არა დისერტაციის დაცვის პერიოდის გახანგრძლივება და შეუძლია თუ არა სტუდენტს, მიმართოს საერთაშორისო განსხვავებულ კონტექსტს და ა.შ.

თავის მხრივ, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციას აძლევს პროგრამას, რათა მეტი დისერტაციის ხელმძღვანელი იყოს ჩართული, რომლებიც შეძლებენ გაამდიდრონ კვლევის მასშტაბები მრავალფეროვანი თემებით. სტუდენტებთან გამართულ შეხვედრაზე, აღმოვაჩინეთ, რომ მათგან სამი ახორციელებდა აბსოლუტურად მსგავს კვლევას (ზუსტად იგივე კვლევის დიზაინი, იდეა და ზოგადი მიდგომა), რაც ეხება კონსტრუქტის შექმნას, მაგრამ სამი განსხვავებული კონცეფციით. სადოქტორო დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს სრულიად დამოუკიდებელ ნაშრომს, რამაც აჩვენა, რომ ასეთი ტიპის კვლევისთვის უნდა დაიხუროს თემები. სტუდენტს არ შეუძლია აირჩიოს სადისერტაციო თემა, რადგან პროგრამა სთავაზობს საკვლევი თემების ჩამონათვალს. ეს ფაქტი არ იქნებოდა პრობლემა,

თეზისის თემები ყოველთვის რომ არ იყოს დაკავშირებული კვლევის ზუსტად ერთსა და იმავე სფეროსთან, მხოლოდ მცირე ვარიაციებით. სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს შემდეგ, ექსპერტთა ჯგუფმა გააცნობიერა, რომ სტუდენტების უმრავლესობა მუშაობს ენის მასწავლებლად, რაც საერთოდ არ ემთხვევა იმ კვლევის სფეროს, რომელშიც მათ განახორციელეს კვლევები თავიანთ სადისერტაციო თეზისებზე მუშაობისას, როგორც მკვლევარებმა. ეს სერიოზულ ეჭვს ბადებს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად სწორად ხდება დოქტორანტების მომზადება. ჩვენი რეკომენდაცია იქნებოდა, რომ სტუდენტებს შეეძლოთ თემების უფრო ფართო სპექტრიდან შერჩევა, რომლებიც უფრო მეტად დაფარავს სამომავლო მუშაობის სფეროებს.

უფრო მეტიც, ამ სამ სტუდენტს ხელმძღვანელობდა მხოლოდ ერთი დისერტაციის ხელმძღვანელი. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ "დოქტორის" ხარისხი ყველაზე მაღალია, რაც მკვლევარს შეუძლია მიიღოს. ეს ნიშნავს, რომ ნაშრომი, რომელსაც მკვლევარი წარადგენს, უნდა იყოს განსაკუთრებული ხარისხის, ორიგინალური და საზოგადოებისა და კვლევითი სივრცისთვის ახალი ცოდნის მიმცემი. სტუდენტმა არა მხოლოდ უნდა დაამტკიცოს, რომ მას შეუძლია მოიტანოს ახალი შედეგები, არამედ ამას გარდა, მკვლევარმა უნდა აჩვენოს, რომ მას შეუძლია ჩაატაროს მაღალი ხარისხის კვლევა: მეთოდის მკაფიო და ზუსტი აღწერა, კვლევის დიზაინი, როგორ ხდება მონაცემების შეგროვება და დეტალური აღწერა, თუ რა ტიპის ანალიზის ჩატარება იქნება აუცილებელი. და ცხადია, ამ ყველაფერს უნდა დაეხმაროს სფეროს წინა და სპეციფიკური კვლევები. ამ თვალსაზრისით, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ თეზისი შეიძლებოდა ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომი, ან თუნდაც ბაკალავრის სამეცნიერო პროექტი, იმ შინაარსის თანახმად, როგორც არის დაწერილი და წარმოდგენილი. ჩვენ არ გვინახავს სადოქტორო დისერტაცია, როგორც ნაშრომი - შედევრი. ჩვენ არ ვგულისხმობთ ჩატარებული კვლევის ტიპს, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანალიზი არ იყო ნათელი და გასაგები, არც გამოყენებული მეთოდოლოგია და ექსპერიმენტის დიზაინი და ა.შ.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვებ-საიტი;
- აკადემიურ ხელმძღვანელთან ინტერვიუების შედეგები (პროგრამის ხელმძღვანელი);
- პროგრამის დოქტორანტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- წარმოდგენილი დისერტაციები.
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- დოქტორანტურის დებულება.

| |
|---|
| **რეკომენდაციები:**<br><br>• პროგრამის მსვლელობისას, სტუდენტებს უნდა ეცნობოთ იმ გზების შესახებ, რომლითაც შესაძლებელია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელებში ინტეგრირება, თუ როგორ გამოაქვეყნონ სამეცნიერო ნაშრომები რეცენზირებად კვლევით ჟურნალებში. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>**X ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | X | | |

## 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

| 4.1 ადამიანური რესურსები |
| --- |
| ➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;<br>➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;<br>➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;<br>➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის პერსონალი კვალიფიციური სპეციალისტებით არის დაკომპლექტებული, რომელთაც აქვთ ყველა ის კომპეტენცია, რომელიც სტუდენტებს სწავლის შედეგების მიღწევაში დაეხმარება: მათ აქვთ პუბლიკაციები, გააჩნიათ კვალიფიკაცია იმ ამოცანების შესასრულებლად, რასაც ახორციელებენ. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ლექტორები სტუდენტებთან ინდივიდუალურად მუშაობენ: მაგ. კურსების ლექტორები ვერ ხედავენ იმ სამუშაოს, რომელსაც სტუდენტები ასრულებენ და ვერც მათ საბოლოო შედეგებს (თეზისს). იმის გათვალისწინებით, რომ ზოგიერთი ლექტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს სტუდენტის კარგ სპეციალისტად ჩამოყალიბებაში, მიგვაჩნია, რომ მათი ამოცანა არ უნდა ჩაითვალოს შესრულებულად სტუდენტის მიერ კურსის დასრულებისთანავე. ლექტორებს შეეძლოთ განეხორციელებინათ გარკვეული ინდივიდუალური კონსულტაციები კვლევითი სამუშაოს სწორი მიმართულებით განვითარების შემოწმების მიზნით.<br><br>უკვე ვახსენეთ, რომ ზოგიერთი სტუდენტი აქვეყნებს პუბლიკაციებს, მაგრამ არ ვართ დარწმუნებულნი, რომ ისინი აქვეყნებენ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალებში. ამით ისინი მალევე დაინახავდნენ კარგია თუ არა მათი კვლევები, რადგანაც ნაშრომებს შეაფასებდნენ ანონიმური და ექსპერტი შემფასებლები.<br><br>ასევე, თვითშეფასების ანგარიშში, სადაც მითითებულია "მოწვეული პერსონალი", სინამდვილეში, ეს მიუთითებს სხვა დეპარტამენტების პერსონალზე. ამ მიზეზით, |

| |
|---|
| მიგვაჩნია, რომ რეალურად მოწვეული პერსონალი (მკვლევარები სხვა უნივერსიტეტებიდან, ქვეყნებიდან და ა.შ.) უნდა ჩაერთოს, რადგანაც ისინი გაამდიდრებენ პროგრამის მასშტაბს.<br><br>პროგრამას უნდა გააჩნდეს საჯარო დოკუმენტი (ან უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს წესი), რომელიც დაადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა ზოგიერთ ლექტორს, რომლებიც არიან დოქტორები, მაგრამ არ აქვთ უფლება უხელმძღვანელონ დისერტაციას, რადგანაც "ისინი საკმაოდ ახლები არიან" უნივერსიტეტში (სიტყვასიტყვით ციტირება ინტერვიუდან). მიგვაჩნია, რომ მეტი დოქტორები უნდა ჩაერთოს პროგრამაში და გათვალისწინებულ იქნას მათი რეზიუმეები (CV ) (და არა სამუშაო ხელშეკრულება). |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (CVs);<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>• პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;<br>• გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>• ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**<br><br>• მიზანშეწონილი იქნება პროფესორების მოწვევა სხვა უნივერსიტეტებიდან, როგორც თანა-ხელმძღვანელების, რათა მათ ჩაატარონ სემინარები, ვორქშოპები ან კონფერენციები (უკეთესია საერთაშორისო) გამოცდილების გასაზიარებლად.<br><br>• პროგრამას უნდა ჰქონდეს საჯარო დოკუმენტი (ან უნივერსიტეტს უნდა ჰქონდეს წესი), რომელიც ადგენს, თუ ვინ შეიძლება იყოს ხელმძღვანელი. ეს შერჩევა უნდა ეყრდნობოდეს მათ რეზიუმეებს (CV). |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება** |
| ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;<br>➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>CV-ების (კერძოდ, აკადემიური პუბლიკაციების და კონფერენციების კრებულების ჩამონათვალი) და აკადემიურ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფმა აღმოაჩინა, რომ ისინი აქტიურად მონაწილეობენ საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და ტრენინგ პროგრამებში. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო სამეცნიერო სივრცეში ინტეგრაციის მიზნით, უნივერსიტეტს გააჩნია დაფინანსების მექანიზმები სამეცნიერო საქმიანობისთვის (მონაწილეობა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში).<br><br>უნივერსიტეტი იყენებს პროგრამის კმაყოფილების შეფასების კვლევებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები (CV);<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>• პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;<br>• გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>• ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 4.3. მატერიალური რესურსი |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>დაწესებულების დათვალიერებისას (ბიბლიოთეკის, აუდიტორიების, ოფისების და ლაბორატორიის მონახულება) გამოვლინდა, რომ პროგრამა იყენებს უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურას და ლაბორატორია აღჭურვილია ენის სწავლებისთვის თანამედროვე ტექნოლოგიებითა და კომპიუტერული პროგრამით, რომლის გამოყენებაც დოქტორანტს შეუძლია დამატებითი აქტივობებისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.<br><br>• ბიბლიოთეკა, მატერიალური და ტექნიკური რესურსები;<br>• ადგილზე ვიზიტი უნივერსიტეტის შენობაში, ბიბლიოთეკაში;<br>• აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>• ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები<br>• ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი საკმარისია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს. ეს ბიუჯეტი შეიძლება გაიზარდოს ზოგიერთი მოულოდნელი განსაკუთრებული საჭიროებისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>● პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.<br>● პროგრამის ბიუჯეტი;<br>● აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;<br>● ადმინისტრაციასთან ინტერვიუების შედეგები;<br>● ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან ინტერვიუების შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |
| **შეფასება** |

| |
|---|
| **X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

### პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

| 5.1 შიდა ხარისხი |
|---|
| პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის პერსონალი თანამშრომლობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან, ეხმარება მათ შეაგროვონ ინფორმაცია კითხვარების, ან ინტერვიუების ფორმით, რისი განხორციელებაც შეძლო ექსპერტთა პანელმა. ჩვენ აღმოვაჩინეთ შესანიშნავი განწყობა, რომ დაეხმარონ პროგრამის ხარისხის გაუმჯობესებას, ხოლო თვითშეფასების ანგარიში მომზადდა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის აქტიური მონაწილეობით. |

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;
- სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 5.2 გარე ხარისხი

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა რეგულარულად იყენებს ხარისხის გარე უზრუნველყოფის შედეგებს და მათში უკვე გათვალისწინებულია წინა შემფასებელთა მიერ შემოთავაზებული რჩევები.

საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამის განხორციელების შეფასების პროცესში, აქტიურად თანამშრომლობს უნივერსიტეტთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან. ეს თანამშრომლობა მოიცავს პერსონალის მონაწილეობას კოლეგიალურ შეფასებებში, ასევე პროგრამის განვითარების გამოკითხვებში, მათ შორის კვლევებში. პროგრამის პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად, ახორციელებს კურსების სილაბუსების განახლებას / მოდიფიცირებას ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით, რაც ასევე ემსახურება პროგრამის გაუმჯობესებას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების შედეგები;
- გასაუბრების შედეგები პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ.
- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის პერსონალთან ინტერვიუების შედეგები;
- ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;
- სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;
- კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;
- ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;
- აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;
- გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;

**რეკომენდაციები:**

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:**

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):**

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში**

**შეფასება**

**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

| 5.3.პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება |
|---|
| პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით, ამ გამოკითხვებიდან მოპოვებული შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. ინტერვიუს დროს, ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის თანამშრომლებმა აგვიხსნეს, თუ როგორ და რა სტრატეგიული მიმართულებებით მუშაობდნენ ისინი უნივერსიტეტის პროგრამების ხარისხზე ამ სფეროში. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• ინტერვიუების შედეგები აკადემიურ პერსონალთან;<br>• უსდ-ს მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგები;<br>• ანგარიში აკადემიური პერსონალის განვითარების შესახებ.<br>• ინტერვიუების შედეგები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან;<br>• ანგარიში სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვის შესახებ;<br>• სტუდენტთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;<br>• კურსდამთავრებულთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის კითხვარები;<br>• ანგარიში უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შესახებ;<br>• აკადემიური პერსონალის მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;<br>• გარე ექსპერტების მიერ პროგრამის შეფასების კითხვარი;<br>• ვებ-გვერდი. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:** |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის აარსებობის შემთხვევაში):** |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში** |

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>**X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

## თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: **საქართველოს უნივერსიტეტი**

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: **ფილოლოგიის სადოქტორო პროგრამა**

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: **37**

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამი სობაში მოთხოვ ნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს | | X | | |
| ლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება | | | X | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა | | X | | |
| 4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა | X | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | X | | | |

<u>ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე</u>

**მარ გუტიერეზ-კოლონ პლანა**

<u>ექსპერტთა ჯგუფის წევრები</u>

**თინათინ კიღურაძე**
**მაკა ელბაქიძე**
**მაკა თეთრაძე**